

# როგორ შევქმნათ BookTube ჩანაწერი?

**აღწერა:**
10 წელზე ცოტა მეტი ხნის წინ აღმოვაჩინეთ Booktube, ანუ ჩანაწერები (ხშირად გამოქვეყნებული YouTube-ზე), რომლებმაც ლიტერატურული კრიტიკის პოპულარობა კვლავ მოიპოვეს და რომლის გარშემოც მკითხველთა ნამდვილი ვირტუალური საზოგადოებები შეიქმნა, ის ძირითადად აერთიანებს მოზარდებსა და ახალგაზრდებს.

Booktube-ის მასტერკლასი არის ინსტრუმენტი, რომელიც სტუდენტებს ლიტერატურულ კრიტიკასა და არგუმენტაციის ხელოვნებას გააცნობს მათ მიერ თავად არჩეულ წიგნებზე დაყრდნობით.

მასტერკლასები გააერთიანებს კითხვას, წერას და ვიზუალურ ელემენტებს, რაც ახალგაზრდა მკითხველებს წაახალისებს, გამოხატონ თავიანთი გრძნობები ნაკლებად ფორმალური, მაგრამ მაინც გულწრფელი გზით.

ეს ასევე წარმოუდგენლად შთამაგონებელი ამოცანაა სხვებისთვის და შესანიშნავი გზაა Read.forReal Czytaj.Serio პროექტის პოპულარიზაციისთვის.

## მოკლედ:

**მიზანი:**
- წიგნის მიმოხილვის წერა
- აზრებისა და იდეების ორგანიზება
- ზეპირი პრეზენტაციის პრაქტიკა
- ვიდეოს ჩაწერა და რედაქტირება
- სხვების წახალისება კითხვაში

**ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?**
- ვიდეოს ჩაწერისა და მონტაჟის მასტერკლასები: საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის (12 წლიდან ზემოთ) და მოზარდებისთვის სკოლის მიღმა (12 წლისდან ზემოთ).
- მასტერკლასები ზრდასრულთან ერთად, რომელიც პასუხისმგებელია ვიდეოს ჩაწერასა და მონტაჟზე: 8 წლიდან ზემოთ ასაკის ბავშვებისთვის.

**სად?**
- კლასში
- ბიბლიოთეკაში

**ორგანიზატორი/ დამკვეთი პირი:**
- სკოლის მასწავლებელი
- ბიბლიოთეკარი

**ვისთან ერთად?**
- მასტერკლასსს შეიძლება უძღვებოდეს პროფესიონალი BookTuber ან (ანაზღაურებადი) კულტურული ანიმატორი.
- მასტერკლასის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს მასწავლებელი ან ბიბლიოთეკარი.

თითოეულ შემთხვევაში, მასტერკლასის წამყვან პირს უნდა ჰქონდეს ვიდეოჩანაწერისა და მონტაჟის უნარები, რათა შეძლოს მონაწილეებისთვის ვიდეოს წარდგენა საბოლოო სახით.

**ხანგრძლივობა:**
- 3 საათი
- მასტერკლასი შედგება ორი ნაწილისგან.
  - მიმოხილვის დაწერა
  - BookTube ვიდეოს ჩაწერა და რედაქტირება

**მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა:**
- 15 პირი

## მასტერკლასის მასალა და თემები:
**მასალა:**

- დიდი დაფა ან ფლიპჩარტი რომელზეც წამყვანს შეუძლია წერა
- ქაღალდი და ფანქრები მონაწილეებისთვის.
- ტელეფონი BookTube ვიდეოს ჩასაწერად და რედაქტირებისთვის (დაინსტალირებული ვიდეო რედაქტირების აპლიკაციით).
- ალტერნატიულად - კომპიუტერი, რომელიც აღჭურვილია ვიდეო რედაქტირების პროგრამული უზრუნველყოფით.

**თემები:**
- მასტერკლასები შეიძლება იყოს შესანიშნავი შესაძლებლობა, გამოხატოთ თქვენი აზრი მნიშვნელოვან თანამედროვე თემებზე და გამოთქვათ თქვენი აზრი სხვა საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის პროექტების თვალსაზრისით:
  - ეკოლოგია: გლობალურ დათბობასთან, ველურ ბუნებასთან და

ბუნებისა და გარემოს დამცველ გმირებთან დაკავშირებული თემების შერჩევა.
- ჯანმრთელობა: თემების შერჩევა, რომლებიც დაკავშირებულია იმ რისკების პრევენციასთან, რომლებსაც სხვა საკითხებთან ერთად, წარმოშობს თემებს დაკავშირებულს არაჯანსაღი კვების ჩვევებზე, ეკრანების ჭარბ გამოყენებაზე ან სპორტთან დაკავშირებული თემებს.
- საზოგადოებრივი ცხოვრება: ისტორიების შერჩევა იმ ადამიანებზე, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, მათი განსხვავებების მიუხედავად.
- ევროპა: უცხო კულტურების აღმოსაჩენად საცნობარო წერტილად ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ტექსტების შერჩევა.

## სესიის მიმდინარეობა

### სესიის წინ:

Mასტერკლასის თითოეული მონაწილე ირჩევს წიგნს (განხილული კლასში / საკუთარი ბიბლიოთეკიდან / ნასესხები ბიბლიოთეკიდან ან სკოლის დოკუმენტური რესურსების ცენტრიდან...). მონაწილეებმა უნდა აირჩიონ პოზიცია, რომელიც განსაკუთრებით მოსწონთ, რათა შეძლონ მის შესახებ თავისუფლად საუბარი და წიგნის სიუჟეტისა და მახასიათებლების დეტალური განხილვა. ეს შეიძლება იყოს რომანი, პოეზიის წიგნი, კომიქსები, მანგა, ესე, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურა...

მონაწილეებმა ვარშტატების დროს სასურველია რომ თან იქონიონ განსახილველი წიგნი, რათა აჩვენონ ყდა და წაიკითხონ მოკლე ამონარიდი. თუმცა, ეს სავალდებულო არ არის.

### 1. წერა:

თუ ოასტერკლასის ხელმძღვანელი პროფესიონალი კულტურული ანიმატორია (განსაკუთრებით BookTuber), კარგი იქნება, თუ მასტერკლასის პირველი რამდენიმე წუთი მისი საქმიანობის პრეზენტაციას დაეთმება. ბავშვებს და ახალგაზრდებს შეუძლიათ კითხვების სიის მომზადება:

- როგორ გაიგე, რომ ასეთი პროფესია არსებობს?
- რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს BookTuber-ს?
- როგორ ირჩევ წიგნს რომელზეც საუბრობ?
- კვირაში რამდენ წიგნს კითხულობ?
- რამდენის გამომუშავება შეიძლება იმის კეთებით, რასაც აკეთებ?

შემდეგ მასტერკლასის ხელმძღვანელი მონაწილეებს სთხოვს, დაწერონ საკუთარი მიმოხილვები არჩეულ წიგნებზე.
ქვემოთ მოცემულია კითხვების ნიმუშები, რომლებიც მასტერკლასის მონაწილეებს დაეხმარება თავიანთი აზრებისა და იდეების ორგანიზებაში:
- როდის წაიკითხე არჩეული წიგნი?
- რატომ გინდა მასზე საუბარი?

- მოამზადე სიუჟეტის მოკლე შინაარსი.
- მოკლედ აღწერე ვინ არიან მთავარი გმირები.
- აღწერე, რა მოგეწონა ყველაზე მეტად წიგნში (პერსონაჟებს შორის ურთიერთობა, წარმოდგენილი სამყარო, სიუჟეტის განვითარება და ა.შ.)
- აღწერე, რა გრძნობები განიცადე წიგნის კითხვისას (შიში, სევდა, სიხარული, რისხვა და ა.შ.)
- გვითხარი, რომელ პერსონაჟთან აიგივებ თავს/რომელი პერსონაჟია შენთან ყველაზე ახლოს და რატომ?
- ახსენი, რატომ ფიქრობ, რომ სხვებმა რაც შეიძლება მალე უნდა წაიკითხონ შერჩეული ტექსტი. ამ ეტაპზე, მასტერკლასის მონაწილეებს შეუძლიათ განიხილონ „ევროპული თემები".

**2. ჩაწერა და რედაქტირება:**

მასტერკლასის მეორე ნაწილი ახალგაზრდების მიერ შეხვედრის პირველ ეტაპზე შემუშავებული მიმოხილვების ვიზუალურ ენაზე გადატანას ეთმობა.

ამის მისაღწევად, კარგი იდეაა, თუ მასტერკლასის მონაწილეებს მცირე ჯგუფებად (მაქსიმუმ 2-3 ადამიანი) დაყოფთ. მსგავსი აზროვნების მქონე პირებთან ერთად ყოფნა ხელს უწყობს მშვიდი ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც მონაწილეები კამერის წინ თავს უფრო კომფორტულად იგრძნობენ.

ვიდეოების ჩაწერა შესაძლებელია მასტერკლასის დღეს და ადგილზე, ან მათი წინასწარ ჩაწერა შესაძლებელია თითოეული მონაწილის მიერ არჩეულ გარემოში. მასტერკლასის ახალგაზრდა მონაწილეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ეს და აირჩიონ ადგილი, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად იგრძნობენ.

აქ მასტერკლასის ხელმძღვანელის როლი წარმოდგენს ახალგაზრდებისთვის რჩევებისა და აზრების მიწოდებას ისეთი როგორიცაა:

- იპოვეთ ადგილი, სადაც თავისუფლად შეძლებთ ჩაწერას (მაგ., თქვენს ოთახში/სახლში, პარკში, საკლასო ოთახში, სახელოსნოს ადგილას და ა.შ.)
- სურვილის შემთხვევაში, ჩანაწერისთვის აირჩიეთ წიგნის თემასთან დაკავშირებული ადგილი (მაგ., ტყე, თუ ფენტეზის ჟანრის წიგნზე საუბრობთ).
- თუ გსურთ, თავისუფლად შეგიძლიათ თავად მიიღოთ მონაწილეობა ჩაწერილ სცენაში, მაგალითად, ჩაიცვათ ლამაზი ტანსაცმელი ან გამოიყენოთ წიგნთან დაკავშირებული რეკვიზიტები.
- გაათამაშეთ წიგნიდან ის სცენები, რომლებმაც ყველაზე მეტად იმოქმედა თქვენზე და ჩართეთ თქვენი მეგობრები (ამ გზით, ახალგაზრდა მონაწილეები ერთმანეთს დაეხმარებიან ვიდეოების ჩაწერის დროს, კამერის უკან ან ობიექტივის წინ დგომისას, რაც მათ შიშის დაძლევასა და სასიამოვნო მოგონებების შექმნაში დაეხმარება).

- ο მიჰყევით წერის ინსტრუქციას: გამოიყენეთ უფრო მოკლე წინადადებები, ისაუბრეთ პირდაპირ, ტექსტის წაკითხვის შემდეგ ისაუბრეთ თქვენს გრძნობებზე.

  - უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის (6 წლიდან და ზემოთ) სასურველია მასტერკლასის გაფართოება კოსტიუმების დამზადებისა და დეკორაციების მხრივ (წიგნის მიხედვით), რათა მთელი ღონისძიება კიდევ უფრო მიმზიდველი და სასიამოვნო გახდეს. ამიტომ, უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის BookTube-ის ჩანაწერი შეიძლება იყოს დაახლოებით ერთი წიგნი (მთელი კლასისთვის), რათა ყველა ბავშვს საშუალება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს საერთო პროექტში.

ვიდეოს ჩაწერის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ მისი რედაქტირება (საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე ამოჭრით) მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, უფასო, მარტივი პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ., Canva) გამოყენებით. რედაქტირება შესაძლებელია ჯგუფურად, კლასში ან ინდივიდუალურად, ჩაწერისთანავე.

**3 მასტერკლასის შემდეგ:**
კარგი იდეა არის ვიდეოების ონლაინ პლატფორმაზე ან სოციალურ მედიაში გამოქვეყნება. მათი ევროპულ Read.forReal Czytaj.Serio ქსელში გაზიარება შესანიშნავი საშუალებაა, გაიგოთ მეტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბავშვებისა და ახალგაზრდების კითხვის არჩევანის შესახებ, მოისმინოთ მათი საუბარი წიგნებზე და ნახოთ, რომელი ლიტერატურა მოსწონთ!

BookTube-ის ვიდეოების მაგალითები:
https://ciclic.fr/actualites/c-est-dans-la-boite-avec-les-ateliers-booktube